სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“



საკონკურსო განცხადება

ვარძიის (ასპინძის მუნიციპალიტეტი) ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე

ქ. თბილისი

2011 წელი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე თემა „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება“

1. შესყიდვის ობიექტია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება შემდეგ ძეგლზე:

ვარძიის (ასპინძის მუნიციპალიტეტი) ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (იხ.ტექნიკური დავალება დანართი #1).

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

3. დაფინანსების წყარო: სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 15 სექტემბრამდე.

5.კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას.
საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. კონკურსის ჩატარების პირობები:

კონკურსანტი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და საკონკურსო განცხადებით მოთხოვილი მასალები და ინფორმაცია; აფიდავიტი შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ (იხ. დანართი #3).

საკონკურსო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბანკო გარანტია საკონკურსო წინადადებასთან ერთად ერთ დახურულ კონვერტში. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

6.1 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:
6.1.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
6.1.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
6.1.3 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების სისტემაში განთავსების თარიღიდან საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულებამდე (2011 წლის 7 ივნისის ჩათვლით).

6.1.4 კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია ახდენს ამ კონკურსანტის დისკვალიფიკაციას.

6.2 სავალდებულო წარმოსადგენი მასალები და ინფორმაცია:

6.2.1 კონკურსანტის რეკვიზიტები (იხ. დანართი #2);

6.2.2 ინფორმაცია კონკურსანტის სამუშაო გამოცდილების შესახებ (პრეტენდენტს ანალოგიურ სფეროში, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 სამუშაო) წარმოდგენილი უნდა იქნას შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი.

6.2.3 ინფორმაცია საპროექტო სამუშაოებში ყველა მონაწილე პირის კვალიფიკაციის, მათ შორის ძეგლთა დაცვითი საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოების გამოცდილების შესახებ (CV–ს სახით).

6.2.4 ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ.

6.2.5 *პირველადი ვიზუალიზირებული არქიტექტურული იდეა (რენდერები, ფოტომონტაჟი, ნახაზები ასევე:*

- განმარტებითი ბარათი;
- გენერალური გეგმა მ., 1:500
- სიტუაციური გეგმა მ; 1:1000
- ტერიტორიის ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის ობიექტების ესკიზური პროექტი (ვარიანტები, გეგმები, ფსადები, ჭრილები, განშლები, მ. 1:50, 1:100; 1: 200 რენდერები, ჩანახატები, მაკეტი _ ავტორის შეხედულებისამებრ);
- ტერიტორიის ფუნქციონალური ზონირების სქემა მ. 1:500;
- კონსტრუქციული გადაწყვეტის პრინციპული სქემები და განმარტებითი ბარათი;
- საპროექტო ობიექტების ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედვის წერტილებიდან.

** გრაფიკული მასალები კონკურსანტის მიერ საექსპოზიციოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს A1 ფორმატით, მუყაოზე ან ქაღალდზე შესრულებული.*

6.2.6 საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების ფასი (მოქმედების ვადით არანაკლებ 30 კალენდარული დღე 2011 წლის 7 ივლისის ჩათვლით);

6.2.7 საპროექტო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა (მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით);

6.2.8 შესასრულებელი სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი (დამკვეთი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);

6.2.9 მენეჯმენტის გეგმა და სტრუქტურა;

6.2.10 ინფორმაცია ხარისხის კონტროლის მექანიზმის შესახებ;

6.2.11 აფიდავიტი შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ (იხ. დანართი #3).

6.2.12 ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმის ელექტრონულ ვერსიას (DWG ფორმატში) კონკურსანტი მიიღებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ოფისში. მის.: ქ. თბილისი, ათონელის ქ. #27 (სანაპიროს მხრიდან).

6.3 სამუშაოების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მონაწილეობით. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

7. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 7 ივნისი 18:00 საათზე;

წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი - ქსეროასლის სახით) 2011 წლის 7 ივნისს 17:50 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ.№27.

დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

8. საკონკურსო წინადადებების შეფასება

8.1 საკონკურსო წინადადებების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის პირობები მოცემულია დანართის სახით (იხ.დანართი #4).

8.2 კონკურსის შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება (იხ. დანართი #5) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

9.ანგარიშსწორების პირობები:

9.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ბიუჯეტის სახსრებით.

9.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

9.4 <u>საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.</u>

10. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

10.1 კონკურსში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%–ის ოდენობით, დანართი #6-ის მიხედვით.

10.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

11. მიწოდების პირობები და ვადები:

11.1 მიმწოდებლის მიერ საბოლოო პროდუქციის სახით, შემსყიდველისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ეტაპების შესაბამისად დოკუმენტაციის მყარი ასლები - ალბომების სახით (4 ეგზ.) და ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი - ArchiCad, Auto CAD კომპაქტური დისკების (CD) სახით - 4 ეგზ).

11.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

11.3 მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **2011 წლის 15 სექტემბრის** ჩათვლით.

12.დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან). საკონტაქტო პირები:

ქრისტინე დარჩია ტელ: +99532 932397;

გუგა გოგაძე ტელ: +99532 932372.

ტექნიკური დავალება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

ვარძიის (ასპინძის მუნიციპალიტეტი) ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი

❖ *ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები*

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. აღნიშნულ კონკურსში ჩასატარებელი სამუშაოებით მოხდება ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ძეგლის მუდმივი მოვლა პატრონობის რეგულირებას, ტურისტების, მომლოცველთა და მკვლევარ-მეცნიერთა მომსახურების პირობების სრულყოფას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების პერსპექტივას.

❖ *ძირითადი პირობები*

საპროექტო სამუშაოების შემსრულებელი დამკვეთთან შეთანხმებული სამუშაოების გრაფიკის შესაბამისად, ეტაპობრივად წარუდგენს მას ინფორმაციას წერილობითი ანგარიშის სახით, კონკურსის გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს დამკვეთის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებული სამუშაოების ეტაპობრივ ანაზღაურებას.

სამუშაოების შესრულების გეგმა განსაზღვრავს სამუშაოთა მიმდინარეობას და დამკვეთისათვის ეტაპობრივად წარდგენის გრაფიკს.

დამკვეთი იტოვებს უფლებას სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დააზუსტოს ისეთი ტექნიკური პირობები, რომლებიც არ გამოიწვევენ სამუშაოების მოცულობათა და შინაარსის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

სამუშაოების დასრულების ვადაა 2011 წლის 15 სექტემბერი.

საავტორო უფლება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

❖ *საპროექტო სამუშაოები უნდა ემსახურებოდეს შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევას:*

- უნიკალური ძეგლის შენარჩუნებითა და ინფრასტრუქტურის განვითარებით ხელი შეუწყოს ქართული კულტურის ნიმუშის საზოგადოებრივი პოტენციალის ამოქმედებას;

❖ *საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობისას უნდა მოხდეს*

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ ფორმატში.

დამკვეთი იტოვებს უფლებას, ტექნიკური დავალებისა და საკონკურსო წინადადების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროდუქციის მიმართ.

შემსყიდველისთვის ჩასაბარებელი სამუშაო განისაზღვრება დოკუმენტაციის შემდეგი შემადგენლობით:

- საპროექტო დოკუმენტაციის განმარტებითი ბარათი ობიექტის ტექნიკური მაჩვენებლების მონაცემებით და საინჟინრო კომუნიკაციებზე დატვირთვების განსაზღვრით;
- ტერიტორიის გენერალური გეგმა მ. 1:500;
- ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი მ. 1:200;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები (მ. 1:100, 1:50)
- მცირე არქიტექტურული ფორმების ცალკეული ობიექტების (ბანერი, მანიშნები, სკამები, ურნები, სანათი მოწყობილობები და სხვ.) სამუშაო ნახაზები;
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები;
- საინჟინრო კომუნიკაციების (გარე განათება, შიდა ელ.ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება და გათბობა) ნახაზები, პროექტები;
- სუსტდენიანი სისტემის პროექტი;
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;

- ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
- არქიტექტურული პროექტი უნდა მოიცავდეს ციფრულ ვიზუალიზაციას;
- სადემონსტრაციო მასალა (გეგმები, ფასადები, ჭრილები (მ. 1:50 ან 1:100), ფრაგმენტები და დეტალები (მ 1:25, 1:20).

ინფრასტრუქტურის საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელია:

1. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიის ზონირება, სადაც განსაზღვრული იქნება: დასასვენებელი და შემეცნებითი ზონები და კავშირები მათ შორის; კომპლექსის ტერიტორიაზე მომსვლელთა მოძრაობის მიმართულებები. ზონირების სქემის საფუძველზე ტერიტორიის გენერალური გეგმის დამუშავება;
2. არსებული ავტოპარკინგის რეკონსტრუქცია;
3. საზოგადოებრივი მომსახურების ინფრასტრუქტურის ობიექტები განთავსდეს პირობითად შერჩეულ ტერიტორიაზე (იხ. დანართი).
4. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის დასასვენებელი და შემეცნებითი მიზნებისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ინვალიდთათვის შესაბამისი ზედაპირის მქონე სავალი ნაწილის მოწყობა;
5. ტერიტორიის გარე განათების დაპროექტება;
6. მცირე არქიტექტურული ფორმები (მოსასვენებელი სკამები, სანაგვე ურნები, საჩრდილობლები, მდინარისპირა ზღუდე და სხვა);
7. ავტოპარკინგის ზონაში სამენოვანი საინფორმაციო დაფა კომპლექსის გეგმის, საფეხმავლო ბილიკების და ინფრასტრუქტურის ობიექტების ჩვენებით; მანიშნების განთავსება;
8. საკემპინგო ტერიტორიის ორგანიზება (საკარვე ადგილები, ადგილები კოცონისათვის, ურნები, ფანჩატური, სანკვანძი შხაპით);
9. მდინარისპირა მწვანე ტერიტორიის მოწესრიგება;
10. კომპლექსის ლანდშაფტის უნიკალურობიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის საპროექტო ობიექტის მოცულობის ისეთი დაგეგმარება, რომელიც ხელს არ შეუშლის ძეგლის ვიზუალურ აღქმას.

ინფრასტრუქტურის ობიექტების შემადგენლობა და საორიენტაციო ფართობები

1. კომპლექსის დაცვა: სამეთვალყურეო პუნქტი
სამუშაო ოთახი - 12 კვ.მ;
დაცვის უფროსის ოთახი _ 6 კვ.მ;
მოსასვენებელი - 6 კვ.მ;
სან.კვანძი შხაპით - 3 კვ.მ;
2. საინფორმაციო-ტურისტული ბიურო
(გიდი, კონსულტანტი, ინტერნეტი) _ 10 კვ.მ;
3. სამუზეუმო სუვენირებისა და წიგნების მაღაზია _ 20 კვ.მ,
დამხმარე სათავსო - 3-4 კვ.მ;
4. საეკლესიო მაღაზია _ 10 კვ.მ
5. კაფე (დარბაზი - 40 კვ.მ; ბარი - 6კვ.მ; სამზარეულო - 4 კვ.მ;
დამხმარე სათავსო - 4 კვ.მ; ღია ტერასები);
6. მდინარის პირას მცირე სარეკრეაციო ზონის მოწყობა;
7. საკონფერენციო-საექსპოზიციო დარბაზი - 70კვ.მ
დამხმარე სათავსო - 5კვ.მ
სანკვანძი 1 უჯრედზე - 3კვ.მ;
8. საგანმანათლებლო პროგრამების ინსტრუქტორის სამუშაო ოთახი - 12 კვ.მ;
9. საზოგადოებრივი სანკვანძები (2x12კვ.მ), მათ შორის ინვალიდთათვის - 3.8კვ.მ;
10. ღია ტერასებზე გასატანი მაგიდებისა და სკამების შესანახი სათავსო - 12კვ.მ.
11 ფარდულის ტიპის მცირე სასაწყობე სათავსი _ 18 კვ.მ;
12. ტერიტორია ავტოპარკინგისათვის _ - 1400 კვ.მ.
13. მოსახლეობის მიერ დამზადებული ხალხური რეწვის ნიმუშების სავაჭრო რიგი - 20-24 კვ.მ.


საპროექტო ობიექტებისათვის
საორიენტაციოდ შერჩეული ტერიტორია
ზ ტ ა ვ ა რ ი

ტექნიკური დავალების დანართი

დანართი №2

1.რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

1. საკონკურსო წინადადების ფასი:
2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერ წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☐ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის პირობები

1. შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას ახდენს საკონკურსო კომისიის მეშვეობით.
2. კონკურსი ტარდება ერთ ეტაპად. შემსყიდველის მიერ თავდაპირველად ხორციელდება საკვალიფიკაციო დოკუმენტაციისა და წარმოდგენილი პირველადი საკონკურსო განაცხადის შეფასება.
3. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პირველადი საკონკურსო წინადადება და ესკიზური პროექტი (ვიზუალიზირებული არქიტექტურული იდეა: რენდერები, ფოტომონტაჟი, ნახაზები), ტექნიკური დავალებებისა და ძეგლის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ლანდშაფტის უნიკალურობიდან გამომდინარე უნდა ხასიათდებოდეს არსებულ გარემოსთან, კლდეში ნაკვეთ კომპლექსთან – მოკრძალებული მიდგომით; ორგანულად ეწერებოდეს გარემოში; არ დაარღვიოს ძეგლის ვიზუალური აღქმის არე. ახალმა ნაგებობამ ან ნაგებობათა ჯგუფმა უნდა შექმნას ძეგლის სრულყოფილი აღქმის შესაძლებლობა და კომფორტული გარემო ვიზიტორთათვის;

ბ) კომპლექსის შემადგენელი მოცულობების მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტა უნდა იყოს ერთმანეთთან თავსებადი მასშტაბის, გამოყენებული მასალისა და გეგმარებითი თვალსაზრისით;

გ) არ უნდა დაირღვეს ინფრასტრუქტურის მოცულობითი ელემენტების კომპაქტურობა;

დ) მაქსიმალურად რაციონალური ზონირების წყალობით, ყოველი კონკრეტული ნაგებობის/მოცულობის ფუნქციის გათვალისწინებით უნდა იყოს შერჩეული მათი ადგილმდებარეობა კომპლექსში, რათა ორგანიზებულად წარიმართოს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მნახველის გადაადგილება. სასურველია, კომპლექსის გეგმარებამ განსაზღვროს სტუმრის მოძრაობის მიმართულება ვიზიტის ფარგლებში მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მიზნით;

ე) ახალი მოცულობები ისე უნდა დაგეგმარდეს, რომ შესაძლო გახდეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, უზრუნველყოს ბავშვთა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებში;

4. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პირველადი საკონკურსო წინადადების შეფასების ძირითადი კრიტერიუმია წარმოდგენილი წინადადების შესაბამისობა მოცემული დოკუმენტის მე-3 პუნქტის ძირითად მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს კონკურსანტის მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობის შეფასებას.
5. შემსყიდველის მიერ კონკურსანტების შეფასების ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს: საკონკურსო წინადადების ფასი (K-0,4) და ვიზუალიზირებული არქიტექტურული იდეა (K-0,6)
6. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2011 წლის ბიუჯეტის სახსრებით.
7. შესყიდვისას შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს წინასწარი გადახდის მექანიზმი; წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%) საავანსო საბანკო

გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

8. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ის არ დააზუსტებს საკვალიფიკაციო დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

ბ) თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

გ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

9. კონკურსის შეწყვეტა:

ა) საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

10. გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში გამარჯვეულ კონკურსანტთან, დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

2. ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულპრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო___ _____ 2011წ.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ
_____ (შემდგომში `მიმწოდებელი~)
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)
შორის.
იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი
_____
შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა
შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:
_____
(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)
(შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე.

4.2. წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან _____ ვადაში.

4.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი _ ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მთლიანად ან ეტაპობრივად მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 3.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით;

6.4. ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით).

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;

8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო- დოკუმენტაცია.

8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.

8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე _ საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

12.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

12.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას.

12.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

12.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

13. გარანტია

13.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;

13.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

13.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

13.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
15.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
15.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. შეტყობინება

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

21.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

23. სხვა პირობები

23.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

23.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

23.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

23.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

23.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
---	---

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის:_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“_____კონკურსში წარდგენილი თავისი

(კონკურსის დასახელება)

საკონკურსო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)